სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

11 დეკემბერი, 2025 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01-02/324

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„ფილოლოგიის“ სადოქტორო** საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **თათია დავითაძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის** თარიღის დანიშვნისა და **დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/129 დადგენილების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის N06-01/16 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების“, თათია დავითაძის დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 27 სექტემბრის №01-08/514 ბრძანების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის №06-01/13 დადგენილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი №22-20/13, 04.12.2025), ,,ბსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის იაპონიაში, ტოკიოს მეტროპოლიტენ უნივერსიტეტში მივლინების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 2 დეკემბრის N01-14/679 ბრძანების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 0 25 0001740899, 07/12/2025) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **თათია დავითაძის სადისერტაციო ნაშრომის** „მედეას მითოპოეტური სახე მითოსსა და ლიტერატურაში“ **საჯარო დაცვა** დაინიშნოს 2025 წლის **24 დეკემბერს,** 16:00 საათზე, 37-ე აუდიტორიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, კორპუსი №1, მე-2 სართული).

2. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **„ფილოლოგიის“** დარგობრივი **სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

2.1. რამაზ ხალვაში – ბსუ-ს პროფესორი **(კომისიის თავმჯდომარე);**
2.2. მაია კიკვაძე – ბსუ-ს პროფესორი **(კომისიის მდივანი);**
2.3. თამარ სირაძე- ბსუ-ს პროფესორი;
2.4. მალხაზ ჩოხარაძე - ბსუ-ს პროფესორი;
2.5. მარინე სიორიძე – ბსუ-ს პროფესორი;
2.6. თეონა ბერიძე – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.7. მალხაზ ბალაძე – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.8. თამილა დავითაძე – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.9. ნანა ქაჯაია – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.10. შორენა მახაჭაძე – ბსუ-ს ემერიტუსი (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი);

2.11. ქეთევან შოთაძე – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.12. ნაილე მიქელაძე – ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (ფილოლოგიის დოქტორი);
2.13. ლელა კუკულაძე – წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი (ფილოლოგიის დოქტორი).

3. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება, საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით (გ. ქათამაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი მ. ფაღავა) და საბჭოს მდივანს (მ. კიკვაძე), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. 30).

ბსუ-ს რექტორის მოადგილე
სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ქათამაძე